



# Porsche Club

---

Georgia



საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია

/დამტკიცებულია სსსფ-ს  
პირველი ვიცე პრეზიდენტის მიერ/  
დ. მჭედლიშვილი

10.04.2018

შეჯიბრების დებულება

## Porsche Sport Challenge Georgia 2018

თაიმ ატაკი

(ღია ტურნირი)

15.04.2018

თბილისი 2018

# 1. შეჯიბრების დებულება

15.04.2018

1. მონაწილეთა რეგისტრაცია	08:00 – 09:30 სთ.
2. ტექნიკური დათვალიერება	08:00 – 09:30 სთ.
3. ბრიფინგი	10:00 – 10:30 სთ
4. ვარჯიში:	
• კლასი A	10:40 – 11:00 სთ.
• კლასი B	11:05 – 11:25 სთ.
• კლასი C,D	11:30 – 11:45 სთ.
5. ტექნიკური შემოწმება	11:45 – 12:00 სთ.
6. რბოლა 1 (პირველი):	
• კლასი A	12:00 – 12:15 სთ.
• კლასი B	12:20 – 12:35 სთ.
• კლასი C,D	12:40 – 12:55 სთ
7. რბოლა 2 (მეორე):	
• კლასი A	13:00 – 13:15 სთ.
• კლასი B	13:20 – 13:35 სთ.
• კლასი C,D	13:40 – 13:55 სთ
8. რბოლა 3 (მესამე):	
• კლასი A	14:30 – 14:45 სთ.
• კლასი B	14:50 – 15:05 სთ.
• კლასი C,D	15:10 – 15:25 სთ
9. რბოლა 4 (მეოთხე):	
• კლასი A	15:30 – 15:45 სთ.
• კლასი B	16:05 – 16:20 სთ.
• კლასი C,D	16:30 – 16:45 სთ.
10. პროტესტები	16:45. – 17:15 სთ.
11. დაჯილდოება	17:15 – 17:30 სთ.

## 2. შეჯიბრების ორგანიზატორი, ოფიციალური პირები

შეჯიბრების ორგანიზატორი: ა.(ა).ი.პ. „საქართველოს პორშეს კლუბი“

მისამართი: ქ. თბილისი, ბელიაშვილის 173

ტელ: +995 558 45 10 01

e-mail: [Porsche.club.geo@gmail.com](mailto:Porsche.club.geo@gmail.com)

[lasha.narsia@gmail.com](mailto:lasha.narsia@gmail.com)

შეჯიბრების კოორდინატორი:

ლაშა ნარსია  
მობ.: 558 45 10 01

**ოფიციალური პირები:**

შეჯიბრის ხელმძღვანელი ;	არჩილ ნოღაშვილი	595 90 36 69
უსაფრთხოების კომისარი:	მიხეილ ოზგებაშვილი	555 40 33 31
ტრასის მთავარი კომისარი:	ალექსანდრე ბეროზაშვილი	599 50 88 51
ტექ. კომისარი:	შოთა კაპანაძე	598 10 86 87
შეჯიბრების მდივანი:	ლაშა კუცია	557 13 93 93
მთავარი ქრონომეტრაჟისტი:	ხათუნა ჯულაყიძე	558 00 02 42
მთავარი კომისარი:	ვაჟა ლეჟავა	595 42 55 00
კომისარი:	პავლე ბერიძე	599 04 96 94
დამკვირვებელი სსსფ-დან:	ზურაბ ბაბუციძე	599 50 51 65

**3. შეჯიბრების ტრასა**

- 3.1. ერთი წრის გავლის, ერთი საუკეთესო დრო ყველა სესიებს შორის.
- 3.2. შეჯიბრების ხანგრძლივობაა 9:00 საათი

**4. შეჯიბრების პირობები**

4.1. შეჯიბრება ტარდება საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის (სსსფ) სპორტული კოდექსის შესაბამისად და წყვილთა რბოლის რეგლამენტის მოთხოვნებით პირად ჩათვლაში.

4.2. მრბოლელს უფლება აქვს განაცხადი გააკეთოს შეჯიბრების დებულების შესაბამისად (ქვეპუნქტი 4.1.) მისი ავტომობილის შესაბამის ან ზედა კლასში.

4.3. მრბოლელს აქვს უფლება განაცხადი გააკეთოს ერთდროულად რამოდენიმე ჯგუფში (მისი ავტომობილის შესაბამის და ზედა კლასებში), ორგანიზატორის მიერ დადგენილი სასტარტო თანხის დამატებით თითოეული კლასისთვის;

4.4. მრბოლელის ავტომობილი უნდა აკმაყოფილებდეს იმ ჯგუფის ტექნიკურ მოთხოვნებს, რომელშიც არის გაკეთებული განაცხადი ან ჯგუფი უნდა იყოს კლასით მაღალი;

4.5. ორგანიზატორს უფლება აქვს შეუცვალოს მრბოლელს გაცხადებული ჯგუფი, თუ მისი სპორტული ავტომობილი არ აკმაყოფილებს გაცხადებული ჯგუფის ტექნიკურ მოთხოვნებს. ასევე ორგანიზატორი იტოვებს უფლებას მიანიჭოს საასპარეზო ჯგუფი იმ მრბოლელს, რომელსაც არ აქვს ან არასწორად აქვს შერჩეული საასპარეზო ჯგუფი (მათ შორის რბოლის დასრულების შემდეგ, შედეგების ოფიციალურ გამოქვეყნებამდე).

4.6. მრბოლელები, ჩათვლას იღებენ მის მიერ გაცხადებულ კლასში.

4.7. იმ შემთხვევაში, თუ გაცხადებული კლასი არ შედგა (ჯგუფი არ შემდგარად ითვლება თუ ვერ სრულდება 4.9. ქვეპუნქტი), ამ კლასში გამარჯვებული არ ვლინდება.

4.8. მონაწილე ავტომობილები უნდა აკმაყოფილებდნენ ფედერაციის მიერ გამოცემულ ყველა დამატებით რეგულაციას და დადგენილებას.

4.9. ჯგუფი შემდგარად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ჯგუფში ტექნიკურ კომისიას გაივლის, შეჯიბრებაზე მონაწილეობის უფლება მიეცემა და სტარტზე (გამახურებელი წრე არ ითვლება შეჯიბრების სტარტად) იღებთ მინიმუმ 5 (ხუთი) მრბოლელი (ავტომობილი).

4.10. ერთი სპორტული ბოლიდით ასპარეზობის უფლება აქვს მხოლოდ ორ მრბოლელს.

4.11. სტარტზე განლაგებულ ყველა სპორტულ ბოლიდს ავტომობილის ორივე მხარეს უნდა ჰქონდეს განთავსებული საბორტო ნომრები.

## 5. შეჯიბრების წესები

5.1. სტარტი: მსაჯის მითითებით შუქნიშნის მწვანე შუქის მოქმედების (მწვანე შუქის ანთებისას) პერიოდში ავტომობილი უნდა დაიძრას და შევიდეს სარბოლო ტერიტორიაზე. დრო ფიქსირდება გამახურებელი წრის გავლის შემდეგ, სტარტ ფინიშის ზოლის გადაკვეთის დროს სენსორის მეშვეობით, რომელსაც გასცემს ორგანიზატორი. თუ ავტომობილი ვერ დაიძრა მწვანე შუქნიშნის მოქმედების პერიოდში, უნდა დატოვოს სასტარტო ზონა თავისი სვლით ან გარეშე პირთა დახმარებით. თუ მრბოლელმა დაარღვია სასტარტო პროცედურა, მასზე გავრცელდება რეგლამენტით გათვალისწინებული სანქციები.

5.2. მანქანები სტარტს იღებენ 7 წამის ინტერვალით (შუქნიშნის ან სტარტის მარშლის სიგნალით).

5.3. ფინიში: სტარტ ფინიშის ზოლის გადაკვეთით. ფინიშის გადაკვეთის შემდეგ მრბოლელები გადიან გამაგრებულ წრეს, ტოვებენ სარბოლო ტერიტორიას და განლაგებენ ორგანიზატორის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე. ფინიშის პროცედურების დარღვევა ისჯება რეგლამენტის მიხედვით;

5.4. შეჯიბრება შედგება 4 სესიისგან, თითოეული 15 წუთი პიტლეინიდან გასვლიდან, ფინიშის აღმამდე;

5.5. ყველა მონაწილე თითოეულ სესიაში გადის 1 (ერთი) გამახურებელ წრეს, 1 (ერთი) გამაგრებულ წრეს ფინიშის აღმის შემდეგ;

5.6. დისტანციის გავლის ყველა მცდელობა აითვლება სტარტიდან ფინიშის ჩათვლით.

5.7. შედეგიან დროდ ითვლება ყველა სესიის სარბოლო გარბენებს შორის ერთი საუკეთესო დრო.

## 6. მონაწილეები

6.1. შეჯიბრებაზე დაიშვებიან პირები, თანახმად სერიის რეგლამენტისა. მრბოლელის ავტომობილი უნდა შეესაბამებოდეს სსსფ-ს მიერ დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს. მონაწილემ უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

- მართვის მოწმობა;
- ავტომობილის სარეგისტრაციო საბუთი;
- მრბოლელის ლიცენზია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- სპორტული ავტომობილის ტექნიკური პასპორტი (გაცემული სსსფ-ს მიერ, ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- შეჯიბრებაში მონაწილეობის განაცხადი;

6.2. შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის გადასახადი თითოეულ ჯგუფში რეგისტრაციისთვის დადგენილია ორგანიზატორის მიერ და მონაწილეებს ეცნობებათ რეგისტრაციის დროს. აღნიშნული თანხა მრბოლელის მიერ გადახდილი უნდა იქნეს შეჯიბრის დღეს რეგისტრაციის დამთავრებამდე.

6.3. შეჯიბრება ატარებს ღია ტურნირის სახეს და მასში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს.

6.4. პასუხისმგებლობა მატერიალურ ზარალზე, როგორც მონაწილეების და მათი ქონების მიმართებაში, ასევე მესამე პირთა და მათი ქონების მიმართებაში (მარტო დახურულ პარკში ყოფნის პერიოდის გარდა) ეკისრებათ უშუალოდ ზარალის გამომწვევ პირებს. ორგანიზატორი ამ პასუხისმგებლობას არ იზიარებს.

6.5. დაშვებულია ავტომობილის ტექ. შეკეთება და საწვავით შევსება უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

6.6. სარბოლო მონაკვეთზე უსაფრთხოების ღვედებისა და ჩაფხუტის არ ქონის ან არასათანადო მდგომარეობაში ყოფნის შემთხვევაში მონაწილე მოიხსნება შეჯიბრიდან.

6.7. ორგანიზატორის მხრიდან, მონაწილეზე გაცემული დროის ამთვლელი სენსორის დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში, სენსორის მიმღები ორგანიზატორს გადაუხდის მის ღირებულებას, 1465 (ათას ოთხას სამოცდა ხუთი) ლარს;

## 7. მონაწილე ავტომობილები

7.1. შეჯიბრებაზე დაშვებულია ავტომობილები თანახმად სერიის ტექნიკური მოთხოვნებისა.

7.2. ავტომობილზე დაშვებულია სპონსორის და სპორტული აქსესუარების რეკლამირება ნებისმიერ ადგილას, გარდა ხედვითი და წინა გვერდითი შუშებისა და იმ ადგილებისა, რომელიც განკუთვნილია ორგანიზატორისთვის.

## 8. პროტესტები

8.1. პროტესტები მიიღება მხოლოდ მონაწილე პირისგან წერილობით ფორმით შეჯიბრების ხელმძღვანელის სახელზე შეჯიბრების მსვლელობისას ან წინასწარი შედეგების გამოცხადებიდან 30 წუთის განმავლობაში ფულადი დეპოზიტის დადასტურებით.

8.2. პროტესტის საფასური – 300 ლარი.

## 9. უენიშვნები და განმარტებები

9.1. საორგანიზაციო კომიტეტს უფლება აქვს შეიტანოს დამატებები და ცვლილებები ასპარეზობის რეგლამენტში, წინასწარი ან საერთო განცხადების სახით.

9.2. ორგანიზატორი უფლებამოსილია გადაიტანოს ან შეწყვიტოს შეჯიბრება ფორს-მაჟორული ან ორგანიზატორისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. აღნიშნულის შემთხვევაში არ აგებს პასუხს მიყენებულ მორალურ და მატერიალურ ზარალზე.

## 10. შედეგების განსაზღვრა

10.1. რბოლის საბოლოო შედეგები განისაზღვრება თითოეული მონაწილის მიერ ჯამში ნაჩვენები შედეგების მიხედვით.

10.2. თითოეულ კლასში გამარჯვებულის გამოვლენა ხდება თანახმად შეჯიბრების რეგლამენტისა.

## 11. დაჯილდოება.

11.1. კლასი ჯილდოვდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის კლასი ჩაითვალა შემდგარად (პუნქტი 4.9);

11.2. პრიზიორები ყველა კლასში დაჯილდოვდებიან:

კლასი	ჯილდო	პრიზი
A	თასი, დიპლომი და მედალი	1 ადგილი – სპონსორების მიერ დაწესებული პრიზი; 2 ადგილი - სპონსორების მიერ დაწესებული პრიზი; 3 ადგილი - სპონსორების მიერ დაწესებული პრიზი;
B	თასი, დიპლომი და მედალი	1 ადგილი - სპონსორების მიერ დაწესებული პრიზი; 2 ადგილი - სპონსორების მიერ დაწესებული პრიზი; 3 ადგილი - სპონსორების მიერ დაწესებული პრიზი;
C	თასი, დიპლომი და მედალი	1 ადგილი - სპონსორების მიერ დაწესებული პრიზი; 2 ადგილი - სპონსორების მიერ დაწესებული პრიზი; 3 ადგილი - სპონსორების მიერ დაწესებული პრიზი;
D	თასი, დიპლომი და მედალი	1 ადგილი - სპონსორების მიერ დაწესებული პრიზი; 2 ადგილი - სპონსორების მიერ დაწესებული პრიზი; 3 ადგილი - სპონსორების მიერ დაწესებული პრიზი;